საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ბრძანება №113

თბილისი „21" 08 2018 წ.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ[10]" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ძ" და „ჩ" ქვეპუნქტების, 3[1] მუხლის პირველი პუნქტის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვალი N28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის, „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლისა და „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილისთვის - თეიმურაზ მურღულიასთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 20 ივლისის N12 ბრძანების საფუძველზე და „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების საბოლოო შედეგებზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გრიფირების კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 მაისის N516 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 18 ივლისის N922025 ანგარიშის, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2018 წლის 02 აგვისტოს N973691 წერილის, „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების განმხილველი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის N586 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 09 აგვისტოს N996502 და 2018 წლის 17 აგვისტოს N1018097 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს გრიფი ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტს.
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის მოადგილე

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭების შესახებ											
საგნობრივი ჯგუფი	საგანი	საგნის სტატუსი	კლასი	დასახელება	განმცხადებელი	ავტორი/ავტორები	კომპლექტის შემადგენლობა	ენა	სექტორი	განაცხადის ID	არსებითი მახასიათებელი
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მე და საზოგადოება	სავალდებულო	III - IV	მე და საზოგადოება	შპს „გამომცემლობა სიდი - ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი" (ს/კ 200278216)	ნინო ტალახაძე	მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული	ქართული	ქართულენოვანი	278	-